



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ალექსი-მესხიშვილი ნინო სარდიონის ასული

ალექსი-მესხიშვილი ნინო სარდიონის ასული (14. XI. 1900, პეტერბურგი, - 9. V. 1983, თბილისი), მსახიობი. საქართვე. დამს. არტისტი (1941). დაამთავრა ა. ფალავას დრამ. სტუდია (1924) და მსახიობად ჩაირიცხა რუსთაველის სახ. თეატრში. ასრულებდა სახასიათო როლებს: აკვირია (ა. მირცხულავას „განგაში“), ჟანა ბარბარუ (ლ. სლავინის „ინტერვენცია“), ხოზე (გ. მდივნის „ალკაზარი“), სმერალდინა და მადამ ფონტენი (კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური“ და „საპატარძლო აფიშით“), სალი (ბ. ლავრენიოვის „ამერიკის ხმა“), ვერა კაშკადაშვილი (ი. პოპოვის „ოჯახი“), რუთ მამლოკი (ფ. ვოლფის „პროფესორი მამლოკი“), სოფია (ა. ოსტროვსკის „მოგჯერ ბრძენიც შეცდება“), ანა ონიშნიკოვა (მ. გორკის „ვასა ჟელეზნოვა“), მარკიზა დე მონტეფიორი (ფ. დიუმანუარისა და ა. დენერის „დონ სეზარ დე ბაზანი“) და სხვ.

**ა. გვენცაძე**

---